



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 43

2019 წლის 7 მაისი



ხაშური


„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 თებერვლის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებას, რისთვისაც საჭიროა „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხა“ - ში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 6 თებერვლის №12-ე განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო

ობიექტების ნუსხა

1. ხაშური, ბეჟაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.016) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 2038.00 მ².
2. ხაშური, ბეჟაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.021) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1740.00 მ².
3. ხაშური, (ყოფილი აზნეფტის ტერიტორია)(საკადასტრო კოდი 69.03.51.002) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 220575.00 მ²
4. ხაშური, (ყოფილი რძის ქარხნის ტერიტორია), (საკადასტრო კოდი 69.08.56.265) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო ფართობი 1914.00 მ².
5. ხაშური, თევდორე მღვდლის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.57.023) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო ფართობი 7872.00 მ².
6. ხაშური, ბეჟაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.014) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 13781.00 მ².
7. ხაშური, შუშის ქარხნის დასახლება (საკადასტრო კოდი 69.08.51.315), დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 3719 კვ.მ.
8. ხაშური, სტალინის ქუჩა (საკადასტრო კოდი 69.08.66.017) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1072 კვ.მ.
9. ხაშური, სოფელი ცხრამუხა, (საკადასტრო კოდი 69.11.56.291) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 140 კვ.მ.